საკითხავი ბავშვებისთვის

ონლაინ სივრცეში სექსუალური ძალადობა

მომზადებულია თამარ გაბოძის მიერ

თუ შენ არ შეგსრულებია 18 წელი და სარგებლობ სოციალური ქსელებით, ეს დოკუმენტი შენთვისაა.

შენ გაქვს უფლება იცოდე, როგორ დაიცვა თავი ონლაინ სივრცეში სექსუალური ძალადობისგან.

ამ დოკუმენტში წაიკითხავ:

სარჩევი

- რას ნიშნავს ონლაინ სივრცეში ბავშვების მიმართ სექსუალური ძალადობა;
- არსებობს თუ არა ონლაინ სივრცეში სექსუალური ძალადობის საფრთხე;
- რა არის პირადი მონაცემები;
- რა უნდა იცოდე ონლაინ სივრცეში ყოფნისას;
- როგორ მოიქცე თუ ონლაინ სივრცეში შენს მიმართ ადგილი აქვს სექსუალურ ძალადობას.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის

დოკუმენტი მომზადდა **პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის - PHR-ის** მიერ, **USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის** მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს **აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID)** მხარდაჭერით.

დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია **პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის - PHR-ი** და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებას.

დღეს ინტერნეტით თითქმის ყველა ადამიანი სარგებლობს. ინტერნეტში შეგვიძლია მივიღოთ და გავავრცელოთ საინტერესო ინფორმაცია, სოციალურ ქსელებში ვესაუბროთ მეგობრებს და აღმოვაჩინოთ ახალი ინტერესები.

თუმცა, ინტერნეტით სარგებლობისას არსებობს საფრთხე, რის შესახებაც უნდა ვიცოდეთ.

რას ნიშნავს ონლაინ სივრცეში ბავშვების მიმართ სექსუალური ძალადობა

- სოციალურ ქსელებში, სხვადასხვა საკომუნიკაციო აპლიკაციაში, მობილურ ტელეფონში შენთვის ნაცნობი ან უცნობი ადამიანი გთხოვს ან გიგზავნის საკუთარ ან სხვისი შიშველი სხეულის, ან სხეულის ნაწილის ფოტოს, სექსუალური შინაარსის ვიდეოს ან ტექსტს.

- მოძალადე გწერს ისეთ მესიჯებს ან გესაუბრება ისეთ თემებზე, რაც შენ თავს უხერხულად ან ცუდად გაგრძნობინებს.

- გთხოვს აჩვენო სხეულის ინტიმური ნაწილი, ან გაუგზავნო ფოტო.

- გესაუბრება ინტიმურ (ძალიან პირადულ) თემებზე.

არსებობს თუ არა ონლაინ სივრცეში სექსუალური ძალადობის საფრთხე:

- მიუხედავად იმისა, რომ ონლაინ სივრცეში ადამიანებს ფიზიკურად არ ეკონტაქტები, სექსუალური ძალადობის საფრთხე მაინც არსებობს. ზოგჯერ ეს საფრთხე შესაძლოა უფრო მომეტებულიც კი იყოს.

- ინტერნეტით ურთიერთობის დროს მოძალადეს შეუძლია შენთან კომუნიკაცია დაამყაროს მაშინ, როცა მოუნდება. ამისთვის ის არ დაელოდება ხელსაყრელ მომენტს, როდის იქნები მარტო, როგორც უშუალო კომუნიკაციის შემთხვევებში.

- თუ ურთიერთობა სავარაუდო მოძალადესთან მხოლოდ ინტერნეტით გაქვს და მას პირადად არ იცნობ შესაძლოა სულაც არ იყოს ის ადამიანი, როგორც თავი გაგაცნო. ინტერნეტ სივრცეში მოძალადემ შესაძლოა არ გითხრას სიმართლე თავისი ასაკის ან სულაც სქესის შესახებ. შესაძლოა გამოგიგზავნოს სხვა ადამიანის ფოტო, როგორც საკუთარი, შენი შეცდომაში შეყვანის მიზნით.

- ასევე, შესაძლებელია მისი ნათქვამი არ იყოს სიმართლე.

- შენს მიერ გაგზავნილ მონაცემებს (ფოტოებს, შენს ამბებს, პირად ინფორმაციას) არ იცი როგორ გამოიყენებს მოძალადე.



რა არის პირადი მონაცემები:

- პირადი მონაცემებია: შენი სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილი, ტელეფონის ნომერი, პირადი ნომერი, შენი ადგილსამყოფელი, სკოლა, ასაკი, ფოტო-ვიდეო. ყველაფერი რითაც შენი იდენტიფიცირება (ცნობა) შესაძლებელია.

- ინფორმაცია რასაც ინტერნეტით სხვებს გადავუგზავნი, შესაძლებელია მოძალადემ შეინახოს რამდენ ხანსაც მოუნდება ან გაუგზავნოს სხვა ადამიანებს.

- შენი პირადი მონაცემების ინტერნეტში გაზიარებით, ამ ინფორმაციას ვერასდროს შეინახავ საიდუმლოდ და მუდმივად იქნება მისი გავრცელების საფრთხე.

რა უნდა იცოდე ონლაინ სივრცით სარგებლობისას:

ვიდრე ინტერნეტით ვინმეს შენს პირად მონაცემებს გაუზიარებ, გახსოვდეს:

- არავის გაუგზავნო შენს შესახებ ისეთი ინფორმაცია, რაც არ გინდა რომ სხვებმაც იცოდნენ.
- არავის გაუგზავნო ისეთი ფოტო, რომლის საჯაროდ ჩვენებასაც არ ისურვებდი.
- არ დაიჯერო დაპირება, რომ შენგან გაგზავნილ ინფორმაციას ინფორმაციის მომთხოვნი წაშლის ან არავის აჩვენებს.
- თუ შენ გაუზიარებს შენს პირად ინფორმაციას სხვას, ეს ინფორმაცია შესაძლებელია უნებართვოდ გამოიყენონ, გაუგზავნონ სხვა ადამიანებს, გაავრცელონ ინტერნეტში ან არ გავრცელების სანაცვლოდ მოგთხოვენ რაიმე მოქმედების შესრულება. შესაძლოა ეს იყოს სხვა ახალი ინფორმაციის მისთვის გაგზავნა, თანხის მიცემა, შეხვედრაზე დათანხმება. ნებისმიერი ისეთი რამის შესრულება რაც შენ არ გინდა.

- გახსოვდეს, არავის წინაშე არ ხარ ვალდებული გაუზიარო შენი პირადი მონაცემები.
- არ დაეთანხმო მეგობრობის თხოვნას ადამიანებისგან, რომლებსაც არ იცნობ.
- თუ გადაწყვეტ, რომ ონლაინ სივრცეში ვიდეო თვალით ეკონტაქტო გაითვალისწინე, რომ შესაძლებელია ეს ზარი შენგან შეუთანხმებლად მოძალადემ ჩუმად ჩაწეროს. ასევე, შეინახოს შენგან გაგზავნილი შეტყობინებები.
- ისინი ვინც ონლაინ სივრცეში (ინტერნეტში) სექსუალურად ძალადობენ, ურთიერთობას თავიდან ნდობის მოპოვებით იწყებენ. ეს შესაძლოა იყოს შექება, კომპლიმენტები, საჩუქრები.

შესაძლოა მოძალადემ გამოგიგზავნოს სექსუალური შინაარსის ინფორმაცია (შეტყობინება, ფოტო, ვიდეო გამოსახულება) და შემდეგ გთხოვოს რომ შენც გაუგზავნო შენი სექსუალური შინაარსის ფოტო ან ვიდეო.

მოძალადემ შესაძლოა შენს მიერ გაგზავნილი სექსუალური შინაარსის ინფორმაცია გამოიყენოს შენზე ძალადობის ან იძულების მიზნით. დაგემუქროს რომ გაავრცელებს ამ ინფორმაციას ონლაინ სივრცეში, გაუგზავნის შენს მეგობრებს ან ოჯახის წევრებს.

გახსოვდეს:

პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის გავრცელება სისხლის სამართლის დანაშაულია და ისჯება კანონით.

სექსუალური შინაარსის ინფორმაცია არის პირადი ცხოვრების ნაწილი.

ასევე დანაშაულია შენგან რაიმე მოქმედების შესრულების მოთხოვნა, იმის გამო რომ მოძალადეს აქვს შენი პირადი მონაცემები.

ის ვინც გემუქრება რომ გაავრცელებს შენს პირად ინფორმაციას ან გთხოვს რაიმე მოქმედებას ამ ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის სანაცვლოდ ჩადის დანაშაულს.

როგორ მოიქცე თუ ონლაინ სივრცეში შენს მიმართ ადგილი აქვს სექსუალურ ძალადობას.

- თუ ონლაინ სივრცეში ადგილი აქვს შენს მიმართ სექსუალურ ძალადობას, არ შეეცადო მარტო გაუმკლავდე ამ პრობლემას.
- დაუყოვნებლივ უთხარი ამის შესახებ იმ ზრდასრულ ადამიანს, ვისაც ენდობი და სთხოვე დაგეხმაროს მიმართო პროფესიონალებს (პოლიცია, ადვოკატი, სოციალური მუშაკი, მასწავლებელი).
- შეწყვიტე მოძალადესთან ურთიერთობა. დაბლოკე ის შენი ყველა ანგარიშიდან.
- არ წაშალო მოძალადის მიერ გამოგზავნილი შეტყობინებები და შეეცადე მის შენახვას. (სქრინების გაკეთება).

- თუ მოძალადემ მოახერხა შენი დაყოლიება ან სხვაგვარად აქვს მოპოვებული შენს შესახებ სექსუალური შინაარსის ინფორმაცია, ამის გამო არ დათანხმდე მის მოთხოვნებს.

- თუ შენზე განხორციელდა სექსუალური ძალადობა, არავის არ აქვს უფლება გაგაკრიტიკოს, განგსაჯოს ან თავი ცუდად გაგრძნობინოს. პროფესიონალების საქმე შენი დაცვა და დახმარებაა.

ვის შეიძლება მიმართო შენი უფლებების დარღვევის შემთხვევაში:

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - 112

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ბავშვთა ცხელი ხაზი - 111

იურიდიული დახმარების სამსახური - 292 00 55

სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი 1481

ბავშვის უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (995) 032 233 13 56

გახსოვდეს, შენ გაქვს უფლება:

- დაცული იყო ციფრულ სამყაროში სექსუალური ძალადობისგან.
- მიიღო საჭირო მხარდამჭერი სერვისები.
- გქონდეს ინფორმაცია, რომელიც დაგეხმარება ძალადობის თავიდან არიდებაში.
- შენი დაცვა და უსაფრთხოება სახელმწიფოს ვალდებულებაა.